შირაქი

SHIRAKI

www. open. ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№45 (9.610)

23-30 ნოემბერი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

პარლამენტმა საქართველოს ახალი მთავრობა დაამტკიცა

საქართველოს პარლამენტმა მთავრობას და მის მიერ წარდგენილ სამთავრობო პროგრამას კენჭისყრის შედეგით - 93 მომხრე, 19 წინააღმდეგი, ნდობა გამოუცხადა. მინისტრობის კანდიდატების მოსმენები პარლამენტში კომიტეტების და უმრავლესობა-უმცირესობის ფორმატში მიმდინარეობდა, შემდეგ კი პროცესი რიგგარეშე სხდომაზე გაგრძელდა.

კონსტიტუციის ახალი დებულებების ამოქმედებასთან დაკავშირებით, მთავრობამ უფლებამოსილება ახალი პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან მოიხსნა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე ბიძინა ივანიშვილი შს ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჩაანაცვლა, შს მინისტრად კი შსს თბილისის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი ალექსანდრე ჭიკაიძე დაინიშნა.

ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობაში ყველა სხვა მინისტრი უცვლელი დარჩა. მინისტრთა კაბინეტი ასე გამოიყურება: საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე; თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია; იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო; ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი სოზარ სუბარი; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი; განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე; გარემოს დაცვის მინისტრი ხათუნა გოგალაძე; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია; სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი; კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია; ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე; ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი დავით დარახველიძე; სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია; დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი კონსტანტინე სურგულაძე; სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილი; სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილი.

მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების თაობაზე პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებას ხელი პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა მოაწერა. დოკუმენტი პრეზიდენტს გადაეგზავნა.

ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი

ბიძინა ივანიშვილი ღია წერილს ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„ამ წერილით იმ ერთადერთ კითხვას მინდა გავცე პასუხი, რომელიც პოლიტიკიდან წასვლის შესახებ ჩემს განცხადებას მოჰყვა. ქართული, ევროპული და ამერიკული საზოგადოების ერთ ნაწილს გაუჩნდა კითხვა - ხომ არ ვაპირებ კულუარულად ვმართო ქვეყანა.

ბევრი აბსურდული ბრალდება ისმოდა ჩემ მიმართ მაშინაც, როდესაც პოლიტიკაში შემოვედი. რას არ მაბრალებდნენ - კრემლის აგენტობით დაწყებული, საარჩევნოდ მაცივრების დარიგებით დამთავრებული. აღარაფერს ვამბობ ისეთ სიცრუეზე, თითქოს პოლიტიკაში საკუთარი ქონების გადასარჩენად მოვედი ან დიდი ჰესების ხელში ჩაგდება მინდოდა.

და ახლა, როცა უკვე პოლიტიკიდან წავედი, მინდა ვუპასუხო იმ ბოლო აბსურდს, რომ თითქოს კულუარებიდან მინდა ვმართო ქვეყანა და გავლენა მოვახდინო ხელისუფლებაზე. და როცა გავლენაზე მიანიშნებენ, სამწუხაროდ, მხოლოდ უარყოფით კონტექსტს გულისხმობენ.

მთელი ჩემი ცხოვრებით, მთელი ჩემი ბიოგრაფიით მე დავამტკიცე, რომ უკადრისი არასოდეს არაფერი ჩამიდენია.

ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილი რუსეთში მომიწია ყოფნა და საქმიანობა. ეს, მართლაც, ურთულესი პერიოდი იყო, ბიზნესი ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდებოდა, ძალიან მოკლე დროში უამრავი საკუთრება გაიცა და ხშირად ეს უხეშ ფორმებსაც იღებდა. რთული იყო ასეთ ვითარებაში გამჭვირვალე და კანონიერი ბიზნესის კეთება. და მიუხედავად ამისა, ჩემი ბიზნესი იყო სრულიად სამაგალითო და გამჭვირვალე. ბევრს ეცადნენ, ბევრი ეძებეს ოპონენტებმა, მათ შორის უცხოელებმაც, მაგრამ ვერც ერთი შავი ლაქა ვერ იპოვეს ჩემს ბიზნესში. მე არათუ კანონი არ დამირღვევია არასდროს, კონტრაქტიც კი არ მომიშლია, მეტიც, სიტყვაც არ გამიტეხია.

ჩემი რუსეთში საქმიანობის 20-წლიან პერიოდზე ყველა კითხვას გავეცი პასუხი ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან გამოცემაში, „ვედომოსტში“. ეს იყო ერთადერთი ინტერვიუ, რომელიც პოლიტიკაში მოსვლამდე მივეცი. ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია ნახოს და თავად დარწმუნდეს, როგორი რეპუტაცია მქონდა რუსეთში და ბიზნესწრეებში (იხ. ლინკები ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე).

ჩემი ცხოვრების მთავარი ხელწერა არის აბსოლუტური გამჭვირვალობა. ასე ვიყავი ბიზნესში და ასეთივე ვიყავი პოლიტიკაშიც. როდესაც 2003 წლის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ახალი ხელისუფლება მოვიდა, მე მათ კონსულტაციას ვუწევდი მათივე თხოვნით, 3 წლის განმავლობაში სააკაშვილს მრავალჯერ შევხვდი, ცხადია, ყოველთვის მისივე სურვილით.

(გაგრძელება გვ. 3)

ექსდირექტორი ბრძოლას აგრძელებს

გვ. 5

კომპანია „ადითს“ დედოფლისწყაროს სამედიცინო ცენტრი ჩამოერთვა

გვ. 3

დაუსვი კითხვა გამგებელს

გვ. 8

1 დეკემბერს 17:30 საათზე

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი
- მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

გიორგი მარგველაშვილი - ჩვენი მიზანია,მივაღწიოთ შეიარაღებული ძალების ისეთ დონეს, რომელიც ბრძოლის სურვილს დაუკარგავს მოწინააღმდეგეს

ჩვენი მიზნია, მივაღწიოთ შეიარაღებული ძალების მომზადების ისეთ დონეს, რომელიც ბრძოლის სურვილს დაუკარგავს ნებისმიერ მოწინააღმდეგეს, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა დღეს მეოთხე მექანიზირებული ბრიგადის დაჯილდოვების ცერემონიალზე განაცხადა.

მისი თქმით, დღევანდელ დაჯილდოვებაში მონაწილეობა დიდი პატივია.

"თქვენი ღვაწლი სამშობლოსა და გლობალური უსაფრთხოების მშვიდობის საქმეში ფასდაუდებელია. მეოთხე მექანიზირებულ ბრიგადას უდიდესი საბრძოლო გამოცდილება აქვს. ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდან თქვენ იდექით და დგახართ სამშობლოს უსაფრთხოების სადარაჯოზე და მნიშვნელოვანი წვლილი შეგაქვთ არა მარტო ქვეყნის, არამედ გლობალური უსაფრთხოების დაცვაში. მათ შორის ISAF -ის მისიში ავღანეთში", - აღნიშნა მარგველაშვილმა.

პრეზიდენტმა საქართველოს მოქალაქეების სახელით მადლობა გადაუხადა ჯარისკაცებს.

"ჩვენ ვამაყოთ თქვენით, ჩვენს ხალხს სძინავს მშვიდად, იმიტომ რომ თქვენ დგახართ ქვეყნის სამსახურში. ჩვენი უსაფრთხოების უმთავრესი გარანტიაა ის მიღწევები, რომელსაც აღნიშნავდით დღეს. თქვენთან ერთად მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს მეგობარ ქვეყნებს. ვაცხადებთ რა, ნებისმიერი პრობლემის მშვიდობიანად გადაწყვეტას, ჩვენ მოვალენი ვართ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაზე. უდიდესი მხედართმთავარი ამბობდა, ყველაზე უკეთესია დაამარცხო სხვისი არმია უბრძოლველად, ყველაზე უკეთესი ომი არის მოსპო მოწინააღმდეგის ჩანაფიქრები. ჩვენი მიზანია მივაღწიოთ შეიარაღებული ძალების მომზადების ისეთ დონეს, რომელიც ბრძოლის სურვილს დაუკარგავს ნებისმიერ მოწინააღმდეგეს. თუ სამშობლოს დასჭირდება, ყოველი ჩვენთაგანი მზად იქნება, თავი განიროს. მე ვიცი, რომ ასეთ დროს თქვენ კვლავაც პირველ რიგებში იდგებით და თავდადების მაგალითებს მისცემთ სხვებს. სიამაყით და ტკივილით უნდა გავიხსენოთ სამშობლოსთვის დაღუპული თქვენი თანამებრძოლები, ოფიცრები და ჯარისკაცები. ქედს ვიხრი მათი ნათელი ხსოვნის წინაშე. წარმატებას გისურვებთ", - აღნიშნა პრეზიდენტმა.

გიორგი მარგველაშვილს ვაზიანში თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია და გაერთიანებული შტატების ახალი უფროსი ვახტანგ კაპანაძე მასპინძლობდნენ.

საზეიმო ღონისძიება საქართველოს სახელმწიფო ჰიმნით დაიწყო, რომელიც თავდაცვის სამინისტროს ორკესტრმა შეასრულა.

სტუმრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის და საერთაშორისო მისიების შესრულებისას დაღუპული ქართველი სამხედრო მოსამსახურეების ხსოვნას.

პრეზიდენტმა მე-4 მექანიზირებული ბრიგადის 42-ე ბატალიონის მეთაური, მაიორი ირაკლი კალანდაძე საბრძოლო დმსახურებისთვის დააჯილდოვა. უმაღლესმა მთავარსარდალმა მედლები გადასცა ამავე ბატალიონის პირადი შემადგენლობის კიდევ 15 სამხედროს.

42-ე ბატალიონმა ავღანეთის მისიის შესრულებისას ყველაზე დიდი დანაკარგი განიცადა. ავღანეთში ქვედანაყოფის 10 სამხედრო მოსამსახურე დაილუპა.

მთავარ პროკურატურაში ლაშა ნაცვლიშვილი ირაკლი შოთაძემ შეცვალა

საქართველოს ახალმა მთავარმა პროკურორმა, ოთარ ფარცხალაძემ პირველი დანიშვნები უკვე განახორციელა. "ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის თანამდებობაზე ლაშა ნაცვლიშვილი, რომელმაც გადადგომის შესახებ განცხადება გუშინ დაწერა, ირაკლი შოთაძემ შეცვალა. შოთაძემ პროკურატურაში საგამოძიებო სამსახურიდან გადაინაცვლა, სადაც ფარცხალაძესთან ერთად მუშაობდა.

გარდა ამისა, უკვე დანიშნულია თბილისის პროკურორი. მაია მწარიაშვილი ამ თანამდებობაზე მიხეილ შაყულაშვილმა შეცვალა. მისი დანიშვნის ბრძანება უკვე ხელმოწერილია.

უწყებაში სხვა საკადრო ცვლილებებიც მიმდინარეობს, რაზეც მთავარი პროკურატურა ინფორმაციას მოგვიანებით გაავრცელებს.

ბიძინა ივანიშვილი სამართლიანობის უმაღლესი ორდენით დააჯილდოვეს

საქართველოს ყოფილი პრემიერ - მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მსოფლიო იურისტთა ასოციაციის დელეგაციამ სამართლიანობის უმაღლესი ორდენით დააჯილდოვა. როგორც ივანიშვილის ფეისბუკის ოფიციალურ გვერდზე გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, ასოციაციის წარმომადგენლებმა ბიძინა ივანიშვილს მშვიდობისა და სამართლიანობის დამკვიდრებისა და განვითარების საქმეში შეტანილი ღვაწლისთვის მადლობა გადაუხადეს.

დაჯილდოების ცერემონიალს მსოფლიო იურისტთა ასოციაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი პაატა ცნობილაძე, მეორე ვიცე-პრეზიდენტი კიმ კორლი, მსოფლიო იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტი აშშ-ში ბენ გრიფიტი და აღნიშნული ორგანიზაციის ყოფილი პრეზიდენტი ვალერი ევდოკიმოვი ესწრებოდნენ.

მსოფლიო იურისტთა ასოციაცია წელიწადში ერთხელ, მშვიდობისა და სამართლიანობის დამკვიდრებისთვის მსოფლიოს მასშტაბით ორ - საერო და სასულიერო პირს - არჩევს და აჯილდოებს.

ასოციაციამ სამართლიანობის უმაღლესი ორდენით გუშინ, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორეც დააჯილდოვა.

ეროვნულ გამოცდებში უნარების გამოცდის კომპეტენციის მინიმალური ზღვარი შესაძლოა გაიზარდოს

ერთიან ეროვნულ გამოცდებში ზოგადი უნარების სავალდებულო გამოცდების კომპეტენციის მინიმალური ზღვარი შესაძლოა გაიზარდოს. ამის შესახებ გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აბიტურიენტებთან შეხვედრისას განაცხადა.

მიმინოშვილის თქმით, დაწესებული ზღვარი აბიტურიენტებს არათანაბარ პირობებში აყენებს, რის გამოც მინიმალური კომპეტენციის ზღვარი უნდა გაიზარდოს.

„ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა ალბათობის ზღვარზე მაღალი ბარიერი დაგვეწესებინა, თუნდაც მცირედი. ამ წლების განმავლობაში ვერ მოვახერხეთ შეთანხმება განათლების სამინისტროსთან. იძულებულები ვართ, ნედლ ქულაზე გადავჭრათ ბარიერი, არის თუ არა სამართლიანი ამ აბიტურიენტების მიმართ ესეთი მიდგომა? სწორედ ამ პრობლემებზე გვინდა ვისაუბროთ და აქედან გამოსავალი ერთადერთი იქნება - სულ მცირედით მაინც უნდა ავწიოთ კომპეტენციის მინიმალური ზღვარი", — განაცხადა მაია მიმინოშვილმა.

მისივე თქმით, ცვლილებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები განათლების სამინისტროსთან და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან უკვე მიმდინარეობს.

„კახეთის ენერგოდისტრიბუციის" გაკოტრების მმართველად ზაურ რეხვიაშვილი დაინიშნა

აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ს/ს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის" გაკოტრების მმართველად ზაურ რეხვიაშვილი დანიშნა. 19 ნოემბრამდე კომპანიას აკაკი ბეგაშვილი მართავდა.

2009 წლის იანვრიდან „კახეთის ენერგოდისტრიბუციას" ლიტვური კომპანია „ახემა ჯგუფი" ფლობდა. ინვესტორს კომპანია ჩამოართვეს. „კახეთის ენერგოდისტრიბუციის" მიმართ გაკოტრების საქმე 2011 წლის 5 აგვისტოს გაიხსნა. კომპანიის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა" და შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ" მიმართეს. ოფიციალური ინფორმაციით, ენერგოსადისტრიბუციო კომპანიას 4 417 544 ლარი დავალიანება აქვს. 2011 წლის ოქტომბერში, სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის" გადახდისუუნარობის საქმესთან დაკავშირებით მომრიგებელმა საბჭომ კომპანიის გაკოტრების გადაწყვეტილება მიიღო. როგორც გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, ლიტვურმა ინვესტორმა კომპანია „გრუპპა ახემამ" საინვესტიციო პირობების შესრულება ვერ შეძლო და ვალების დაგროვება დაიწყო. ენერგეტიკის მაშინდელი მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური აცხადებდა, რომ „კახეთის ენერგოდისტრიბუცია" მალე გაიყიდებოდა, რაც არ შესრულდა. კომპანია დღემდე გაკოტრების რეჟიმშია.

2014 წელს არალეგალ მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრი გაიხსნება

საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, 2014 წლის ივნისში ექსპლუატაციაში შევა არალეგალ მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრი. მისივე თქმით, შს სამინისტროში ამოქმედდება მიგრაციის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ქვეყანაში არალეგალურად მყოფი მიგრანტების გამოვლენასა და გაძევებაზე.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ამოქმედდება მიგრაციის სამსახური, რაც სიახლეა. ეს სამსახური პასუხისმგებელი იქნება ქვეყნაში არალეგალურად მყოფი მიგრანტების გამოვლენასა და გაძევებაზე. ასევე, აშენდება და 2014 წლის ზაფხულში ექსპლუატაციაში შევა არალეგალ მიგრანტთა დროებითი განთავსების თანამედროვე ცენტრი, სადაც გათვალისწინებული იქნება ადამიანის უფლებების ევროპული სტანდარტები. დაცული იქნება ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებები", — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტში, სამთავრობო პროგრამის წარდგენისას.

მისივე თქმით, მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი იქნება ნარკოტიკული საშუალებების არალეგალური ბრუნვის შემცირება და გაძლიერდება ბრძოლა ტრეფიკინგის ნინააღმდეგ.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსად ლერი ბარნაბიშვილი დაინიშნა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსად ლერი ბარნაბიშვილი დაინიშნა. ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე ის საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილე იყო.

ლერი ბარნაბიშვილი თანამდებობაზე პრემიერ - მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის წარდგინებით დანიშნა.

ლერი ბარნაბიშვილი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში 2004 წლიდან სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. 2009 — 2013 წლებში, საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე იყო. მანამდე, საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მესამე სამმართველოს უფროსად მუშაობდა. 2008 — 2009 წლებში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მესამე სამმართველოს უფროსი იყო. შემდეგ კი ამავე დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს უფროსის მოადგილედ დაინიშნა. 2004-2007 წლებში, მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

ლერი ბარნაბიშვილი პროფესიით იურისტია. ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ლერი ბარნაბიშვილმა საგამოძიებო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ოთარ ფარცხალაძე შეცვალა, რომელიც საქართველოს მთავარ პროკურორად დაინიშნა.

კომპანია „ადითს“ დედოფლისწყაროს სამედიცინო ცენტრი ჩამოერთვა

რამდენიმე დღის წინ ჰოსპიტალურ ქსელ „ადითს“ 8 საავადმყოფო ჩამოერთვა და სახელმწიფოს დაუბრუნდა. მათ შორის არის დედოფლისწყაროს სამედიცინო ცენტრი. ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, კომპანიას ხელშეკრულება დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო შეუწყდა.

„მათ ჰქონდათ ვალდებულება, რომ საავადმყოფოებში სამედიცინო ინფრასტრუქტურა გაეუმჯობესებინათ და მომხმარებლისთვის სერვისების მიწოდების უწყვეტობის უზრუნველყოფა მოეხდინათ. მათ აღებული ჰქონდათ ვალდებულება, რომ საავადმყოფოები აღჭურვილი იქნებოდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და დასაქმებული იქნებოდა ხალხი, მათ კი ამ პროექტში არანაირი ინვესტიცია არ ჩაუდიათ“, - განაცხადა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე დიტო მახათაძემ.

ისრაელის სამედიცინო კომპანია „აიჰოპის“ შვილობილი ჰოსპიტალების ქსელი „ადითი“ საავადმყოფოების მენეჯმენტს ახორციელებდა. საავადმყოფოები მის მფლობელობაში 2010 წელს, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვების საფუძველზე გადავიდა.

დედოფლისწყაროს სამედიცინო ცენტრის ექიმები ჰოსპიტალურ ქსელ „ადითის“ წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებენ. როგორც გაზეთ “შირაქს” საავადმყოფოს დირექტორმა ხათუნა აგლაძემ განუცხადა, 2013 წლის თებერვლის შემდეგ, საავადმყოფოს 80—მდე თანამშრომელს ხელფასი არ აუღია. მისი თქმით, ხელფასების გაცემის მოთხოვნით კომპანია „ადითის“ ხელმძღვანელობას არაერთხელ მიმართეს, თუმცა უშედეგოდ.

„თებერვლიდან 20 სექტემბრამდე დაფინანსება არ მიგვიღია. სამედიცინო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად გამზადებული გვაქვს სარჩელი, რომელსაც სასამართლოში შევიტანთ „ადითის“ წინააღმდეგ. სამედიცინო დაწესებულებებს ახლა უკვე ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შექმნილი შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი მართავს“, — განაცხადა ხათუნა აგლაძემ.

ისრაელის სამედიცინო კომპანია „აიჰოპის“ შვილობილი ჰოსპიტალების ქსელი „ადითი“ საავადმყოფოების მენეჯმენტს ახორციელებდა. საავადმყოფოები მის მფლობელობაში 2010 წელს, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვების საფუძველზე გადავიდა.

სამინისტროს ცნობით, „ადითს“ რვავე დაწესებულება იპოთეკით აქვს დატვირთული.

ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი

(პირველი გვერდიდან)

ვერც სააკაშვილი და ვერც მისი გუნდის რომელიმე წევრი ვერ გაიხსენებს ერთ შემთხვევასაც კი, როდესაც მე მათ რამე პირადი თხოვნით მივმართე ან პირადი ინტერესების გამო შევხვდი. მე მათ ყოველთვის ისეთ რჩევებს ვაძლევდი, რომლებიც ჩემს ქვეყანას, ჩემს სახელმწიფოს სჭირდებოდა და არა პირადად მე.

ჩემი ინიციატივით იმ ფონდს ვაფინანსებდი, რომელიც ორნახევარ წელზე მეტხანს მთელ მთავრობასა და პარლამენტს ხელფასებს უხდიდა, რათა ქვეყანა კორუფციის ჭაობიდან ამოსულიყო და ევროპული განვითარების გზას დადგომოდა.

რჩევებს ვაძლევდი მერაბიშვილსაც, ვეხმარებოდი პოლიციას პატრულის მანქანების ყიდვაში და არავითარ შემთხვევაში - იარაღის შეძენაში. ვეხმარებოდი ჯარს, ვაშენებდით ყაზარმებს, ვყიდულობდით ტანსაცმელს ჯარისკაცებისთვის. და იქაც მქონდა პრინციპული პოზიცია, რომ ამ დახმარებით არ ეყიდათ იარაღი.

მე არასდროს მიმიღია მონაწილეობა რომელიმე მინისტრის ან პრემიერ-მინისტრის დანიშვნაში. თავს ვარიდებდი და არ ვერეოდი ამ საქმეში. ანუ მაშინ, როდესაც არ ვიყავი საჯარო ფიგურა და მართლაც „კულუარებიდან“ მქონდა ურთიერთობა ხელისუფლების უმაღლეს წრეებთან, ფაქტია, რომ არ მომინდომებია „კულუარებიდან მართვა“.

პოლიტიკაში ორწლიანი მოღვაწეობისას ჩამოვაყალიბეთ გუნდი, რომელიც კარგად მიცნობს, უამრავი ადამიანი გავიცანი, უამრავს დავუმეგობრდი, ძალიან ბევრი ხშირად მაკრიტიკებს კიდეც, თუმცა ვერავინ იტყვის, რომ მე ორმაგი სტანდარტით ვცხოვრობ და ვმუშაობ. ერთ ეპიზოდსაც კი ვერ გაიხსენებს ვერავინ, რომ მე რაღაც კულუარულ თამაშებში ვერთვებოდი. პირიქით, ზოგჯერ ჩემივე გუნდის წევრები სწორედ „კულუარებში“ მაკრიტიკებდნენ პოლიტიკოსისთვის ზედმეტი გულახდილობისა და საჯაროობისთვის.

ნებისმიერი ჩვენი გუნდის წევრი, ნებისმიერი მინისტრი მაქსიმალურად თავისუფალი იყო, მე მათ არასოდეს თავს არ ვახვევდი არაფერს, მხოლოდ მსჯელობისა და საღი აზრის პატივისმცემელი ვარ. ასეთია ჩემი მუშაობის წესი. მე არასოდეს არ ვმართავ კულისებიდან, მე ამას არ ვაკადრებ საკუთარ ქვეყანას და საკუთარ გუნდს, რომელსაც უაღრესად დიდ პატივს ვცემ.

ამიერიდან მე ვიქნები საზოგადოების აქტიური წევრი, ჩემი საქმიანობა იქნება სრულიად გამჭვირვალე და, რა თქმა უნდა, მექნება გარკვეული გავლენაც. ამასთანავე, მე ამ გავლენას არათუ სათაკილოდ ვთვლი, არამედ ძალიანაც შევეცდები მის გაზრდას. სხვანაირად როგორ შეიძლება იყო სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრი?

ხელისუფლებაზე საზოგადოების გავლენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რაც, პირველ რიგში, პოლიტიკური სისტემის სიჯანსაღის, ანუ დემოკრატიის მანიშნებელია, რადგან ეს გავლენა ხალხის, საზოგადოების წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას და მასთან უკუკავშირს გულისხმობს.

საბოლოოდ, საზოგადოება აქტიური მოქალაქეების, ინდივიდების კრებულია. ბუნებრივია, რომ მაღალი საზოგადოებრივი ნდობის მოქალაქის გავლენა პოლიტიკაზე, შესაბამისად, მაღალი იქნება. და თუ ეს მოქალაქე ყოფილი პოლიტიკოსია, როგორც ამ შემთხვევაში მე, მაშინ ეს წესი აღარ მუშაობს?! თუ მხოლოდ საქართველოში არ უნდა მუშაობდეს და საფრთხის შემცველად განიხილებოდეს ის, რაც აბსოლუტურად ნორმალურად ითვლება დემოკრატიულ ქვეყნებში?!

ადამიანის უფლებები, ევროპული ღირებულებები, ევროატლანტიკური სივრცისკენ სწრაფვა, ის, რომ ამერიკა უნდა იყოს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, ის, რომ აუცილებლად უნდა დავალაგოთ ჩვენს მეზობლებთან და, მათ შორის, რუსეთთანაც ურთიერთობა, ეს არის ჩემი ღირებულებები, და თუ ვინმე ამის წინააღმდეგია, ისინი ნამდვილად უნდა შფოთავდნენ, რადგან დიახაც რომ, მე მოვახდენ გავლენას ამ მიმართულებით.

ამ ღირებულებებს რომ ვცემ პატივს და ერთგული ვარ მათი, ეს არაერთხელ განვაცხადე. მეტიც, კოალიციის დეკლარაციასაც მოვაწერე ხელი, რომელიც მთლიანად ამ ღირებულებებს ეფუძნება. ამ ღირებულებებს ვცემდი პატივს ყოველთვის, და თუ ვინმე ფიქრობს, რომ დღეს, 57 წლის კაცი შევიცვლი ღირებულებებს, ასეთებისთვის პასუხის გაცემას არ ვაპირებ.

მე სხვა ინტერესი, გარდა ჩემი ქვეყნის წინსვლის და ევროპული განვითარებისა, არასოდეს მქონია. ყველამ კარგად იცის, რომ საქართველოში ბიზნესი არა მაქვს და ამას არც მომავალში ვაპირებ, და როგორ შეიძლება რამე სხვა მოტივი მამოძრავებდეს, გარდა ჩემი ქვეყნის სამსახურისა.

თუ შევძლებ და მართლაც მოვახდენ ევროპული მიმართულებით ქვეყნის წინსვლის საქმეში გავლენას ხელისუფლებაზე, ამას უნდა მიესალმებოდეს ყველა.

არც საჯარო მხარდაჭერას, არც რჩევებს დავამადლი და არც კრიტიკას მოვაკლებ მთავრობას, რომელიც ჩემს ხალხთან ერთად შევქმენი და რომელზეც პასუხისმგებლობა ავიღე.

მინდა ყველას გასაგონად ვთქვა: ის, რომ პოლიტიკიდან წასული ლიდერები გავლენას ახდენენ ქვეყნის ცხოვრებასა და პოლიტიკაზე, ჩვეულებრივი ამბავია და მიღებული ტრადიციაა დემოკრატიულ ქვეყნებში. ძალიან ბევრი მაგალითი არსებობს ამისა, ბევრი პოლიტიკოსი შეგვიძლია გავიხსენოთ, რომელთა გავლენა პოლიტიკაზე ათეული წლებია ნარჩუნდება და ეს არავის აფრთხობს.

ვფიქრობ, ჩემგან არ უნდა ესწავლებოდეთ ჩვენს დასავლელ მეგობრებს, რომ ასეთი ტიპის „Think Tank“-ის (ანალიტიკური ცენტრების) გავლენა პოლიტიკაზე, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, იმდენად მაღალია, რომ ამ „Brain Trust“-ების კეთილგანწყობისა და ნდობის მოპოვება მთელი რიგი ქვეყნების მთავრობებისგან დიდ დიპლომატიურ ძალისხმევას მოითხოვს და, ხშირ შემთხვევაში, მოქმედი ადმინისტრაციის კეთილგანწყობის მოპოვების ტოლფასია. ამ „Think Tank“-ის სათავეებთან კი, როგორც წესი, ყოფილი პოლიტიკოსები დგანან.

და მაინც, ყველაზე დიდი აბსურდი, რასაც მომაწერენ, არის ის, თითქოს მეშინია, თითქოს გავურბივარ პასუხიმგებლობას და ამიტომ მივდივარ პოლიტიკიდან. შეიძლება არსებობდეს თანამდებობის დაკარგვის შიში. მაგრამ როდესაც მე ჩემი ნებით უარს ვაცხადებ თანამდებობაზე, რა შიშზე შეიძლება იყოს ლაპარაკი?

მე მაშინ არ შემშინებია, როდესაც უმძიმეს ვითარებაში მივიღე პოლიტიკაში შემოსვლის გადაწყვეტილება, როდესაც ჩვენს ქვეყანას ავტორიტარული რეჟიმის მრავალწლიანი მმართველობა ემუქრებოდა, როდესაც საზოგადოებაში სრული სასოწარკვეთილებისა და უპერსპექტივობის განცდა მეფობდა, როდესაც მთლიანად განადგურებული იყო ოპოზიციური ძალები, - სწორედ მაშინ დავდე სასწორზე მთელი ჩემი ცხოვრება, ჩემი ოჯახი, შვილების უსაფრთხოება და სამშობლოს გადარჩენის გადაწყვეტილება მივიღე.

მე მოვახერხე და გავაერთიანე პოლიტიკური ძალების საუკეთესო ნაწილი, ერთ მუშტად შევკარი საზოგადოება და ვაიძულე სააკაშვილის რეჟიმი მშვიდობიანად, უსისხლოდ გადმოებარებინა ხელისუფლება. და ახლა, როდესაც ხელისუფლებაში ნამდვილი დემოკრატიული ძალები მოვიყვანე, თავად ხელისუფლების ზენიტში მყოფმა, დავტოვე ხელისუფლება. ეს, ალბათ, ძნელი გასაგებია ბევრისთვის, რადგან ვერავინ დაასახელებს პოლიტიკოსისგან მსგავსი ნებიჯის გადადგმის მაგალითს.

შეიძლება სწორედ ეს აბნევთ ვიღაცებს, რადგან ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისა თუ პოლიტიკური ლიდერისთვის ერთ-ერთი უმთავრესი მოტივაცია, ამოცანა და მიზანია ხელისუფლებაში მოსვლა, ქვეყნის მართვა და თავისი შეხედულებით სახელმწიფო საქმეების გაძღოლა.

მინდა მივმართო ყველას - ნუ დავრჩებით თითქმის ზოგადსაკაცობრიო სტერეოტიპის ტყვეობაში, უნდა დავიჯეროთ, რომ შეიძლება ადამიანს ჰქონდეს ჭარბი სიმდიდრე და ჭარბი ძალაუფლება, მაგრამ გული და გონება მაინც სხვაგან მიუწევდეს, რადგან მისთვის კიდევ უფრო მაღალი ღირებულება არსებობს და ეს არის თავისუფალი სამშობლოს თავისუფალი მოქალაქეობა. ამ ოცნების ასრულებისთვის გახდა აუცილებელი ჩემი პოლიტიკაში დროებით მოსვლაც და ამასვე ემსახურება ჩემი პოლიტიკიდან წასვლაც. აი, ასე მარტივია სინამდვილეში ყველაფერი...

მას უყვარს თავისი საქმე

მოიძიო, შეინახო და მოუფრთხილდე ერის საგანძურს, მშობლიური რაიონის ეთნოგრაფიულ ფასეულობებს, არცთუ პატარა მოვალეობაა. ამ მისიის შესრულებას პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, საკუთარი ხალხისა და ქვეყნის დიდი სიყვარული სჭირდება. სწორედ ასე მოვიდა დღემდე დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი ნინო პოპიაშვილი.

გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, 23 ნოემბერს ქალბატონ ნინოს 50 წელი შეუსრულდა, ხოლო სამუზეუმო საქმიანობის - 30 წელი. იგი სპეციალობით ისტორიკოსია, დაამთავრა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. შრომითი საქმიანობა პედაგოგობით დაიწყო, შემდეგ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სპეციალისტად დაიწყო მუშაობა, შეიყვარა ეს საქმე და მთელი შესაძლებლობებით ჩაერთო სამუზეუმო საქმიანობაში.

- უზომოდ მადლიერი ვარ და დიდი სიყვარული მაკავშირებს ჩემს პირველ დირექტორთან ქალბატონ ლია ხუციშვილთან, რომლის დროსაც დავიწყე მუზეუმში მუშაობა. მან მასწავლა ამ საქმის ანი და ბანი, მან შემაყვარა სიძველისადმი პატივი და უტყვ ნივთებთან საუბრის საიდუმლოება გამაგებინა. მასთან ერთად შემოვლილი მაქვს საქართველოს სხვადასხვა მუზეუმი, ჩვენი რაიონის სოფლები და ველ-მინდვრები. იგი თავადაც ენთუზიაზმით სავსე, ნოვატორული ბუნების ადამიანია და ჩვენც იდეალურ პირობებს გვიქმნიდა მუშაობისთვის. მართალია, დროც სხვა იყო და სამუზეუმო საქამიანობასაც მეტი ფასი ედო, მაგრამ თანამშრომლებიც ძალიან მონდომებულები ვიყავით. დავდიოდით სოფლებში და შეგროვებით სამუშაოებს ვაწარმოებდით- მოსახლეობიდან ვიღებდით ეთნოგრაფიულ მასალებს. ჩვენი მიზანი იყო ექპონატთა რიცხვის გაზრდა. რაც კი სახლში და სანათესაოში სპილენძის ქვაბი, თუნგი, სამოვარი, ნახშირის უთო თუ საინტერესო ნივთი იყო, სულ მუზეუმში მივარბენინებდი. ამიტომაც ყოველწლიურად იზრდებოდა მუზეუმის ფონდი და ის 1000-დან დღეისთვის 12000-მდე არის გაზრდილი. დღეს ცოტა უჭირს მუზეუმებს, ხალხმა ინტერესი დაკარგა, ყოველდღიური ყოფითი პრობლემებითაა დაკავებული. მართალია, დღესაც ბევრი კარგი ღონისძიება ეწყობა ჩვენთან, მუზეუმში-ვატარებთ სამეცნიერო კონფერენციებს, ხელოვნების სხვადასხვა დარგში წარმატებული ადამიანების ნამუშევართა გამოფენებს, შეხვედრებს მწერლებთან, პოეტებთან, მაგრამ გულდასაწყვეტია, რომ ამ ყველაფერს, ძირითადად, ერთიდაიგივე ადამიანები ესწრებიან. მადლობელი ვართ თქვენი გაზეთის, რომელიც სულ მუდამ გვერდში გვიდგას, აშუქებს ჩვენს მუშაობას და უფრო მეტად საჯაროს ხდის ჩვენს საქმიანობას, - ამბობს ჩვენთან საუბარში იუბილარი.

სამი ათეული წელი ემსახურო ერთსადაიმავე საქმეს, ცოტას არ ნიშნავს. ანუ, უნდა მიგაჩნდეს, რომ ქვეყნისა და ერისათვის მნიშვნელოვან საქმეს აკეთებ და გიყვარდეს ის, რასაც აკეთებ. ასეა ნინოც. ის ამ წლების მანძილზე გულმოდგინედ ზრუნავდა, რომ მუზეუმის საგანძურში უხვად იყოს ქიზიყის - საქართველოს ამ შესანიშნავი კუთხის, გმირული წარსულისა და დღევანდელობის ამსახველი ნივთიერი თუ დოკუმენტური მასალები. მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ მოწყობილ სამუზეუმო კონფერენციებში თბილისში, ბორჯომში, ხაშურში, ლიკანში. იქ გატარებულმა თითოეულმა დღემ ბევრი რამ შესძინა მას. რამოდენიმე წლის წინ, ძეგლთა დაცვის სამმართველოსთან ერთად, მონაწილეობა მიიღო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების აღწერასა და საპასპორტო მონაცემების დამუშავებაში. აქტიურ მუშაობას ეწეოდა თელავის და სიღნაღის რაიონებში სამეცნიერო ექსპედიციებში, შირაქის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ წარმოებულ გათხრებში. დაწერილი აქვს მრავალი სამეცნიერო თემა სხვადასხვა კონფერენციისათვის. ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისთვის დაჯილდოებულია საპატიო სიგელით.

არიან ადამიანები, რომლებიც მთელ თავის ცოდნას, გამოცდილებას, ენერგიას იმ საქმეს ახმარენ, ურომლისოდაც სიცოცხლე ვერ წარმოუდგენიათ და მათი არსებობის უზენაეს მოვალეობად მიაჩნიათ, ისინი მოფუსფუსე ფუტკარივით თავს ევლებიან საყვარელ საქმეს და ამით უდიდეს კმაყოფილებას ღებულობენ. ქალბატონი ნინო პოპიაშვილიც ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლის მთელი ცხოვრება სამუზეუმო საქმის ჩამოყალიბებასა და განვითარებასთან არის დაკავშირებული.

ორმოცდაათი წელი ის ასაკია ადამიანის ცხოვრებაში, როცა საკმაო გამოცდილებაც დაგროვილია და წინ მრავალი გეგმა და ოცნებაცაა განსახორციელებელი. კულტურის დარგის მუშაკებთან ერთად ჩვენც ვულოცავთ ნინოს დაბადების 50 წლისთავს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერ ცხოვრებას მეუღლესთან, ორ შვილთან და ახლობლებთან ერთად და წარმატებებს შრომით საქმიანობაში.

ნაირა გორაშვილი

„შირაქის“ ფოსტა

დ რ ო ა !

მოგესალმებით, პატივცემულო „შირაქის“ რედაქცია, დიდი ხანია, აღარ შეგხმიანებივართ. იცით, რომ აქტიურად ვკითხულობ თქვენს გაზეთს, რომელიც უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახდა. მინდა, თქვენი დახმარებით კიდევ ერთხელ ვთქვა ჩემი სათქმელი.

პირველ რიგში, მინდა, ჩვენი რაიონის მოსახლეობას მივულოცო ის დიდი წარმატება, რის გამოც მთელი საქართველოს ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდით. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვისი დამსახურებაცაა რაიონის გამოცოცხლება და ხალხისთვის იმედის ნაპერწკალის გაღვივება.

ჩემი სურვილებიდან, რაც რაიონისთვის მინდოდა რომ გაკეთებულიყო, ბევრი უკვე სრულდება (კარგი გზები, ტროტუარები, წყალი, ტელევიზიით დედოფლისწყაროს შესახებ კარგი და სასიამოვნო ინფორმაცია და ა. შ.) მაგრამ კიდევ მაქვს რამდენიმე მოკრძალებული სურვილი: მინდა, ორლობეებიც გაკეთდეს. ჩვენს ქუჩაზე (თავისუფლების ქუჩა) ორი ორლობე დარჩა, იმედი მაქვს, მასაც გააკეთებენ.

ძალიან მინდა, მქონდეს (ეს მთელი თავისუფლების ქუჩის მოსახლეობის სურვილიცაა) სწრაფი ინტერნეტი, რათა მუდმივად ვიგებდე სიახლეებს და უშუალოდ ვეკონტაქტო უფრო მეტ ადამიანს. იქნებ ჩვენს ქუჩაზეც გაკეთდეს ბოჭკოვანი კაბელი.

ასევე მინდა, რაიონში იყოს ერთი შენობა (ოთახი), სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები შევიკრიბებით და ჩვენს აზრებს, ნაფიქრალს ერთმანეთს გავუზიარებთ. ერთად ბევრ საინტერესო რამეს მოვიფიქრებთ და გავაკეთებთ, ჩვენს სათქმელს ხმამაღლა ვიტყვით. ჩვენი პრობლემები ხომ ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

რაიონის ბევრმა მკვიდრმა იცის, რომ გამარჯვების გზაზე არის ბურლის წყარო (ე. წ. „გედიქის წყალი“), რომელიც უნიკალურია სამკურნალო თვისებებით- იგი შლის კენჭებს და ორგანიზმიდან გამოდევნის „შლაკებს“. ჩვენ დასალევად იქიდან მოგვაქვს წყალი და არა მარტო ჩვენ. ამ წყაროს გარშემო ტერიტორია დაბინძურებულია, ჭაობია და პლასტმასის ბოთლები ყრია. საქონელსაც ხშირად ნახავთ აქ. ყველას გაგვიხარდება, თუ შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელები დაინტერესდებიან და მოწესრიგდება წყაროს მიმდებარე ტერიტორია.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას, რომ მისმენთ და საშუალებას მაძლევთ, ჩემი სათქმელი ხმამაღლა გამოვთქვა.

და ბოლოს, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩვენს საამაყო თანამემამულეს ირაკლი ღარიბაშვილს მივულოცო საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავება და წარმატებები ვუსურვო მას ქვეყნის ერთიანობისა და აღმშენებლობის საქმეში.

პატივისცემით,
გიორგი ხაჩიაშვილი

ბოლო პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებები ჩვენს მუნიციპალიტეტსაც დაეტყო, კერძოდ, მიმდინარეობს ქალაქის და სოფლების შიდა გზების და კომუნიკაციების მშენებლობა და მოწესრიგება. წლების განმავლობაში ყველა მთავრობის მიერ მივიწყებული ჩვენი მუნიციპალიტეტი, როგორც იქნა მოექცა ქვეყნის ხელისუფლების ყურადღების ცენტრში. ამ პოზიტიური ცვლილებების ფონზე დღის წესრიგში უნდა დადგეს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ყოველთვის აწუხებდა ჩვენს მოსახლეობას. მაგრამ ამ საკითხზე მსჯელობა, სხვადასხვა მიზეზების გამო, არასოდეს არ ყოფილა. კერძოდ სასურველი იქნებოდა, რომ ქვეყნის ხელისუფლებას ეფიქრა და საკანონმდებლო დონეზე გადაეწყვიტა ჩვენი კუთხისთვის სტატუსის მინიჭების საკითხზე ანუ ქიზიყი და ჰერეთის ნაწილი, რომელიც დღეს საქართველოს ეკუთვნის: დედოფლისწყაროს, სიღნაღის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტები გაერთიანდეს ერთ ერთეულად, იქნება ეს მხარე, გუბერნია თუ სხვა რამ ერთეული, რასაც ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო გადაწყვეტს. ამ გადაწყვეტილების საჭიროებას განაპირობებს კუთხის ისტორიული, ეკონომიკური, გეოგრაფიული და სხვა გარემოებები, რომლების დასაბუთება საკმაოდ მყარი არგუმენტებით და ფაქტებით შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში და იმედია, პირველ რიგში ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მხარს დაუჭერს ამ ინიციატივას.

იმისათვის, რომ ჩვენი მხარის განვითარებას ჰქონდეს გარკვეული და ნათელი პერსპექტივა, აგრარული სექტორის, სხვადასხვა წარმოების განვითარებას, რომლის საშუალებაც ჩვენს მხარეს აქვს უამრავი და ამოუწურავი, საჭიროა დღის წესრიგში სამთავრობო დონეზე დადგეს საკითხი ჩვენი რაიონისთვის სატრანზიტო გზების მშენებლობის და განვითარების რეალური გეგმის ამოქმედების დრო. ისტორიულად ჩვენს მხარეს ყოველთვის ჰქონდა სატრანზიტო ფუნქცია, რაც მძლავრ იმპულსს აძლევდა მის ეკონომიურ მდგომარეობას, კერძოდ, აქ გადიოდა აზიიდან მომავალი ძირითადი სატრანსპორტო არტერიები- საქარავნო გზები, რაც დასტურდება უამრავი არქეოლოგიური და ისტორიული მასალებით. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში, რამდენადაც ცნობილია აზერბაიჯანის მთავრობას ჰქონდა სურვილი ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე გაეყვანა პირდაპირი გზა საკუთარი ხარჯებით, რომელიც დააკავშირებდა აზერბაიჯანის ორ მხარეს ზაქათალა- ბელექანს და განჯას ერთმანეთთან. ეს მათთვის მომგებიანი, რადგან ამ პუნქტების ერთმანეთთან პირდაპირ დაკავშირებით ისინი თითქმის 300 კმ მანძილს იგებდნენ და ჩვენც ყველანაირად ხელს გვაძლევდა, რადგან ქვეყანა, ისე რომ ერთ თეთრსაც არ დახარჯავდა, მიიღებდა დამატებით უზარმაზარ შემოსავალს და რაიონის განვითარებისათვის იქნებოდა მძლავრი სტიმული, რაც მთავარია დედოფლისწყარო აღარ იქნებოდა ჩიხი და ეკონომიკის განვითარების ყველა დარგს ექნებოდა სრულიად მყარი პერსპექტივა. შემდგომ, როგორც მოგეხსენებათ, ეს გეგმები, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამო, ლაპარაკების და მოსაზრებების დონეზე დარჩა და პირველ რიგში ამით ჩვენ დავზარალდით. დღეისთვის არ იქნებოდა ურიგო, თუ ეს საკითხი კვლავ წამოიწევდა და გადაწყდებოდა ორი ქვეყნის მთავრობების დონეზე.

აქვე გულისტკივილით, აღვნიშნავ, რომ დღემდე ყველა პოზიტიურ და სიახლის მომტან იდეას ძალიან გააფთრებული წინააღმდეგობა ხვდებოდა მაშინდელი ხელმძღვანელობიდან. მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან: წლების წინ არსებობდა აზრი, რომ ქალაქ დედოფლისწყაროს შერწყმოდა სოფელი წითელწყარო და ჯაფარიძე და შექმნილიყო ერთი ინფარასტრუქტურით და ერთიანი მმართველობის სისტემით. მოგეხსენებათ, ეს იდეა პირდაპირ შეიძლება ითქვას, ჩაკლეს და დღეისათვის მივიღეთ ის, რომ როდესაც ამდენ ქალაქს ეძლევა თვითმმართველი ქალაქის სტატუსი, დედოფლისწყარო მათ რიცხვში ვერ მოხვდება რამოდენიმე ჩინოვნიკის რეტროგრადობის და ელემენტალური გაუაზრებელი მოქმედებების გამო. ანუ დაიკარგა ის სიკეთე, რაც ჩვენს ქალაქს უნდა მიეღო, როგორც თვითმმართველ ქალაქს.

იმედი მაქვს, ახალი მთავრობა და მისი ახალი ხელმძღვანელი, რომელსაც დიდ წარმატებებს ვუსურვებთ, გაითვალისწინებს ყველა პროგრესულ აზრს და იდეას, რაც ქვეყნის და, მათ შორის, ჩვენი მხარის განვითარებას წაადგება.

ვაჟა პაპუაშვილი

ექსდირექტორი ბრძოლას აგრძელებს

„მიმაჩნია, რომ უსამართლოდ გამათავისუფლეს... “

დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლა კვლავაც ყურადღების ცენტრში ექცევა. ახლახან დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი უკვე დაინიშნა, თუმცა თანამდებობაზე დაბრუნებისთვის სამართლებრივ ბრძოლას იწყებს ყოფილი დირექტორი მაია ლაპიაშვილი, რომელმაც თბილისის საქალაქო სასამართლოს უკვე მიმართა. თავის მხრივ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ეთერ ოთარაშვილს უკვე ჩაბარებული აქვს სკოლის დირექტორთა სასერთიფიკაციო გამოცდები. ის გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ადასტურებს, რომ დირექტორობა სურს და შესაბამისი პროცედურების გავლას გეგმავს.

„ცვლილებები ისედაც იყო მოსალოდნელი. ძველ დირექტორებს ვადა გაუვიდათ და დროებით მოვალეობის შემსრულებლად დავინიშნე. ეს სკოლა მაქვს დამთავრებული, მიყვარს, გული შემტკივა და ყველანაირად ვეცდები, რომ რესპუბლიკის მასშტაბით წარმატებული სკოლა იყოს. რაიონის მასშტაბით გამორჩეული სკოლაა, მაგრამ გვინდა უფრო მეტ წარმატებებს მივაღწიოთ. ამის იმედი მაქვს, რადგან ჩვენთან პედაგოგიური კოლექტივიც ისეთია, მათი ძალისხმევით დიდ წარმატებებს შევძლებთ. დიდი პოტენციალი აქვს სკოლას, თუნდაც სპორტულ და სკოლისგარეშე აქტივობებში. ყოფილი დირექტორის მიმართ არსებულ ბრალდებებზე კომენტარს არ გავაკეთებ, მიჭირს და არ მინდა წინამორბედზე საუბარი. თუმცა, სკოლის მართვას და სწავლების პროცესს საკმაოდ გონივრულად უძღვებოდა, ადამიანური ურთიერთობები კი მეორე მხარეა... შეუცდომელი არავინ ვართ, “ - განუცხადა „შირაქს“ ეთერ ოთარაშვილმა.

დედოფლისწყაროს №1 სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად ეთერ ოთარაშვილის დანიშვნასთან დაკავშირებით პირველ კომენტარს აკეთებს ყოფილი დირექტორი მაია ლაპიაშვილი. ის ამბობს, რომ სკოლაში იმდენად მყარი საფუძველი დატოვა, სანერვიულო არაფერია.

„ეთერ ოთარაშვილი კარგი ადამიანია. არ ვიცი, როგორი ხელმძღვანელი იქნება, თუმცა, ვფიქრობ, რომ დავუტოვე საკმაოდ მტკიცე საფუძველი. ყველა მტკივნეული და საორგანიზაციო საკითხი, რაც ხელს უშლიდა სასწავლო პროცესის ნორმალურ ფუნქციონირებას, დარეგულირებულია — გავატარე ეფექტური საკადრო პოლიტიკა. ჩემს მიერ შერჩეული და დასაქმებული პედაგოგები თავისი მიღწევებით არაერთი წელია ასახელებენ სკოლასა და რაიონს — ათასლარიანი სამი მასწავლებელი, სერტიფიცირებულ მასწავლებელთა უმრავლესობა, საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებული მასწავლებლები და მოსწავლეები — სკოლის ამ მონაცემებით მინიმუმ სამი წელი ინერციით, უზრუნველად შეიძლება უამრავი წარმატების მიღწევა. ამას ემატება გამართული და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, დისციპლინა, შიდა ნორმატიული ბაზა. ყველა სტრუქტრული ერთეულის ხელმძღვანელად შერჩეული მყავს კომპეტენტური და მოტივირებული თანამშრომელები. კომპეტენტური სკოლის დირექტორის მოადგილე, პედსაბჭოს თავმჯდომარე, მდივანი, მოტივირებული სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, გამოცდილი ფინანსისტი და საქმის მწარმოებელი, განვითარებული მოსწავლეთა თვითმმართველობა — ჩემი ძლიერი გუნდია. ამ გუნდთან ერთად მუშაობა დირექტორს გაუნახევრებს საქმეს და მათი კომპეტენცია დააბალანსებს ახლადდანიშნულის გამოუცდელობას.

ასე, რომ, არ მეშინია და არ ვნერვიულობ, რომ ჩემი შრომა წყალში ჩაიყრება. ჩემს მიერ შექმნილ საფუძველს დაემატება ის კომფორტი, რაც მე მუდმივად მაკლდა და მირთულებდა მუშაობას — ხელისუფლების თანადგომა, თანამშრომლობა და კეთილგანწყობა. ეთერ ოთარაშვილს მუდამ ექნება მხარდაჭერა და თანადგომა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, სკოლა კვლავაც უამრავ წარმატებას მიაღწევს. მე, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში, დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებ ახალ დირექტორთან. თუმცა, რადგანაც ვთვლი, რომ უკანონოდ და დაუსაბუთებლად ვარ გათავისუფლებული, სასამართლოს წესით ვეცდები სიმართლის გარკვევას. ეს დავა არანაირად არ აისახება სკოლის შიდა ურთიერთობებზე. ჩემთვის პრიორიტეტულია სკოლაში მშვიდი და პოზიტიური გარემოს შენარჩუნება და პროდუქტიული მუშაობა მოსწავლეების საჭიროებაზე ორიენტაციით, “ - განაცხადა მაია ლაპიაშვილმა.

შეგახსენებთ, ყოფილ დირექტორს, მაია ლაპიაშვილს უფლებამოსილება მიმდინარე წლის სექტემბერში, მინისტრის ბრძანების საფუძველზე შეუჩერდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საჯარო სკოლის დირექტორების სერტიფიცირების მეორე ეტაპს - გასაუბრებას აგრძელებს. სამინისტროს ინფორმაციით, საჯარო სკოლის დირექტორობის იმ კანდიდატებთან, რომელთაც 2013 წელს წარმატებით გადალახეს სერტიფიცირების პირველი ეტაპი, გასაუბრება 25—30 ნოემბერს გაიმართება. მათ შორის არიან კანდიდატები დედოფლისწყაროდანაც, მათი ნაწილი გასაუბრებას 28 ნოემბერს გაივლის. გასაუბრება განათლების სამინისტროში სტრუქტურირებული გასაუბრების ფორმით ტარდება.

განათლების მინისტრის განმარტებით, სერტიფიცირების მიზანია ტესტირებისა და გასაუბრების გზით, საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე მაღალკვალიფიციური და ღირსეული კადრების შერჩევა.

ილია მარტყოფლიშვილი

სპორტი

კიკბოქსინგი

ქალაქ თბილისში გაიმართა რესპუბლიკური ჩემპიონატი კიკ-ბოქსინგში. შეჯიბრში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს მასშტაბით კიკ-ბოქსინგის სპორტული კლუბები, მათ შორის ამ შეხვედრაზე დედოფლისწყაროდან მონაწილეობას იღებდა ზემო მაჩხაანის სპორტული კლუბი „ზაქები“, რომელთაგან სამმა სპორტსმენმა საუკეთესო შედეგი აჩვენა. საკმაოდ კარგი გამოსვლა ჰქონდათ ძმებ ნატროშვილებს და მათ შორის სოსო ნატროშვილს. სანდრო ნატროშვილმა მეტად ლამაზი ბრძოლა აჩვენა და შედეგად ორი ბრძოლა აშკარა უპირატესობით მოიგო, ხოლო მესამე ბრძოლის მეორე რაუნდში წვივი დაიზიანა და მცირე უპირატესობით დამარცხდა, სწორედ ამან განაპირობა, რომ მან პირველი ადგილის ნაცვლად მეორე ადგილი დაიკავა, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მას საკმაოდ გამოცდილ სპორტსმენებთან მოუწია ასპარეზობა, არც მეორე ადგილი გახლდათ ადვილი მოსაპოვებელი. მიუხედავად ამისა „ზაქების“ მონაწილეობა ამ ტურნირში მაინც დადებითი მოვლენა იყო და, ჩვენი რაიონის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩემპიონატი ბრძოლა „ზაქების“ აშკარა უპირატესობით დამთავრდა. შეგახსენებთ, რომ „ზაქების“ მრწთვნელი გახლავთ გენადი ნატროშვილი.

სანდა

ქალაქ თბილისში, ჩოჩუაშვილის სახელობის ძიუდოს დარბაზში ჩატარდა საქართველოს თასის პირველობა „კუნგ-ფუ სანდა“-ში. ამ მნიშვნელოვან შეჯიბრზე „ზაქები“-დან მონაწილეობდა ათი სპორტსმენი. სასიხარულოა, რომ ათიდან ცხრა მედალი ჩვენმა გუნდმა წამოიღო. ასპარეზობაზე იყვნენ ისეთი გუნდებიც, რომელთა სპორტსმენებიდან ვერც ერთი ვერ მოხვდა სამეულში და „ზაქები“-დან კი ათმა სპორტსმენმა ცხრა მედალი მოიპოვა. უნდა ითქვას, რომ ეს გუნდისტრიუმფი გახლდათ. „ზაქების“ შედეგები ასეთია:

პირველი ადგილი: გიორგი ნატროშვილი, სანდრო ნატროშვილი, გელა ჩაფიძე.

მეორე ადგილი: გიგა ნატროშვილი, ნიკა მარგველიანი.

მესამე ადგილი: თამაზ გაბიტაშვილი, მიშა ხუციშვილი, ლაშა ქევხიშვილი, გიგა ნანობაშვილი.

შეჯიბრის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს გიორგი ნატროშვილი.

ვულოცავთ „ზაქებს“ და მის მწვრთნელს, კახეთის „კუნგ-ფუ სანდას“ მთავარ მწვრთნელს გენადი ნატროშვილს ამ გამარჯვებას და კვლავაც წარმატებულ ასპარეზობას ვუსურვებთ.

ლალი მეხრიშვილი

ქართული ჭიდაობა

ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნულმა ფედერაცია „ხრიდოლმა“ (პრეზიდენტი ნუკრი მჭედლიშვილი) თბილისში, ჩოჩვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში, ჩაატარა საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში. „ხრიდოლის“ ფედერაციაში ათასზე მეტი სპორტსმენია გაწევრიანებული. მათ შორის, ორ წელზე მეტია, „ზაქებიც“. „ზაქებიდან“ ამ შეჯიბრში მონაწილეობდა სამი სპორტსმენი და სამივემ პირველი ადგილი დაიკავა. ესენი არიან: დიმა ნადირაშვილი, ძმები გიორგი და სანდრო ნატროშვილები. გიორგი და სანდრო წელს მეორედ გახდნენ საქართველოს ჩემპიონები ქართულ ჭიდაობაში.

გუნდს წვრთნის გენადი ნატროშვილი.

თავისუფალი ჭიდაობა

ქალაქ თბილისში, ჩატარდა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ლერი ხაბელოვის სახელობის VII რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 1997-98 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის.

ტურნირის ჩატარებას ხელმძღვანელობდა ლერი ხაბელოვის სახელობის ჭიდაობის სპორტული კლუბის დირექცია და მის მიერ დამტკიცებული მსაჯთა ბრიგადა. შეჯიბრი ჩატარდა საერთაშორისო წესებით.

დედოფლისწყაროელმა სპორტსმენებმა ტურნირში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. კერძოდ, 63კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილზე გავიდა ირაკლი ბურდული, ხოლო მესამე ადგილი წილად ხვდა ირაკლი მენთეშაშვილს, რომელიც 69კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა.

რამდენიმე ხნით ადრე კი, ქალაქ საგარეჯოში გამართულ, ყოფილი საბჭოთა კავშირის პრიზიორის, საქართველოს ჩემპიონის, სპორტის ოსტატის გიორგი გზირიშვილის VI რესპუბლიკურ ტურნირში თავისუფალ ჭიდაობაში, დედოფლისწყაროელმა სპორტსმენებმა ირაკლი მენთეშაშვილმა(69 კგ წონით კატეგორია) და ალეკო სულაშვილმა (63კგ წონით კატეგორია) პირველი ადგილები დაიკავეს.

ტურნირი ჩატარდა 1998-2001წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის.

აღნიშნული ტურნირის ჩატარებას ხელმძღვანელობდა ა. ი. პ. საგარეჯოს სპორტული გაერთიანების ხელმძღვანელობა და მათ მიერ დამტკიცებული მსაჯთა ბრიგადა.

დედოფლისწყაროელ სპორტსმენებს წვრთნის დავით გონაშვილი.

გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ შესაბამისი დიპლომებით, მედლებითა და პრიზებით.

მინი ფეხბურთი

ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე, გაიმართა მუნიციპალიტეტის პირველობა მინი-ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის შვიდმა გუნდმა.

შეჯიბრში პირველ ადგილზე გავიდა სოფელ ხორნაბუჯის გუნდი, მეორე ადგილი წილად ხვდა სოფელ სამრეკლოს გუნდს, ხოლო მესამე ადგილი-სოფელ არხილოსკალოს გუნდს.

შეჯიბრის ბოლოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მიენიჭა და გადაეცა დიპლომი სანდრო ბეგიაშვილს (ხორნაბუჯი), საუკეთესო მეკარედ დასახელდა სოფელ სამრეკლოს ფეხბურთელი გოდერძი სიმონიძე, საუკეთესო გოლის ავტორად-გურამ გოგილაშვილი (სოფ. სამრეკლო), ხოლო საუკეთესო გოლეადორად-ზურაბ პოპიაშვილი (ხორნაბუჯი).

შეჯიბრს მსაჯობდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე აკაკი ნატროშვილი.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის მთავარი სპეციალისტი მამუკა ალადაშვილი, მწრთვნელები - კაკო მაჩაბლიშვილი და ზურაბ ჩალაბაშვილი.

ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული

მე-17 მე-18 საუკუნის ფრანგი მწერალი, დრამატურგი, ფილოსოფოსი და განმანათლებელი ვოლტერი (მისი სრული სახელი ფრანსუა მარი არუე) წერდა, – „მედიცინის მთელი ხელოვნება ისაა, რომ გაართო პაციენტი, სანამ ბუნება თავად კურნავს მას“. არ ვიცი რამდენად ართოს პატარა პაციენტებს ჩემი წერილის ადრესატი და იყენებს თუ არა მედიცინის ამ ხელოვნებას, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ის თამაშ-თამაშით ეკონტაქტება ჩვენს პატარებს, თამაშით სინჯავს ფონენდოსკოპით და ასე მიდის საბოლოო შედეგამდე, მათი ჯანმრთელობის გარანტიამდე.

უკვე სამი წელია, რაც რაიონის ბაღებს, კერძოდ დედოფლისწყაროს №2 ბაგა-ბაღს საკუთარი ექიმი ემსახურება. ამ დიდ მისიას ბაღში პატარა აღსაზრდელებისთვის უკვე მანანა ექიმად წოდებული ექიმი- პედიატრი მანანა ბეგლარიშვილი ასრულებს. ქალბატონი მანანა ისე როგორც ექიმი, ისე, როგორც რაიონის მკვიდრი, ჩვენი მკითხველისთვის უცხო არ გახლავთ, მაგრამ ის ღვაწლი და პასუხისმგებლობა, რასაც ის ბაღში ბავშვებისთვის ეწევა, დამეთანხმებით, ფასდაუდებელია. განა რად ღირს მშობლისთვის ის იმედი, რომ ბაღში მის შვილს გარდა აღმზრდელების ყურადღებისა, ექიმის თვალი და ზედამხედველობა არ აკლია. მიდიხარ, მიგყავს შვილი და მთელი დღე იმედიანად ხარ, რომ შენს პატარას რამეც რომ წამოსტკივდეს, მას ექიმი გასინჯულს და დანიშნულება მიღებულს დაგახვედრებს, გხვდება ჩანაწერი ექიმისგან, თუ როგორ უნდა მოიქცე და რა მედიკამენტები უნდა მისცე შენს პაწიას იმისთვის, რომ მან მეორე დღეს ხალიასიანად გაიღვიძოს და ბაღში ჩვეული წესით თამამად შეაბიჯოს. თუ რას ნიშნავს ექიმი ბაღში და რამდენად კომფორტულია მისი მუშაობა მშობლებისთვის თუ აღსაზრდელებისთვის, ამაზე თავად პედაგოგები და მშობლები ქვემოთ ისაუბრებენ. უნდა წინასწარ აღვნიშნო, რომ გამოკითხული მშობლებიდან ყველა მათგანი ექიმის მუშაობას მეორე საბავშვო ბაღში დადებითად აფასებს და თვლის, რომ მას შემდეგ, რაც ბაღში მანანა ბეგლარიშვილი შევიდა, მათ შვილებში ბევრად უფრო დაბალ პროცენტულ მაჩვენებელზე ჩამოვიდა ავადობის და ვირუსის მაჩვენებელი, ვიდრე ეს მანამდე იყო.

მინი დოსიე: დაავამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, შემდეგ გაიარა ორწლიანი ორდინატურა რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში. 1981-1986 წლებში მუშაობდა საავადმყოფოში პედიატრად. 1987- 1989 წლებში ცხოვრებას აგრძელებს მოსკოვში, ხოლო როცა დაბრუნდა, 1990 წლიდან დღემდე დედოფლისწყაროს რაიონულ პოლიკლინიკაში მუშაობს, დღეს ის გამოცდილი და ცნობილი პედიატრია. რაიონულ პოლიკლინიკაში პედიატრად მუშაობის პარალელურად ქალბატონი მანანა, უკვე მესამე წელია, მუშაობს რაიონის № 2 ბაგა- ბაღში ბავშვთა ექიმად, საიდანაც კოორდინირებას უწევს რაიონის და სოფლების ყველა საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელთა ჯანმრთელობას.

- ქალბატონო მანანა, მესამე წელია მუშაობთ ბაღშიც, რამ გამოიწვია თქვენში ამ გადაწყვეტილების მიღება და რამდენად მოგწონთ ამ ახალ ამპლუაში თქვენი პარალელური მუშაობა? ხომ არ არის ეს თქვენთვის დამღლელი?

- არა, პირიქით, ბევრად უფრო გახალისდა და საინტერესო გახდა ჩემი მოღვაწეობა, რთული და დატვირთული გრაფიკი მაქვს, მაგრამ ბევრად საინტერესო და დადებითად დამუხტული გახდა ჩემი ცხოვრება. საერთოდ ბავშვები ძალიან მიყვარს, როგორც არ უნდა ტიროდეს პატარა, მე რომ ავიყვან ხელში, მშვიდდება, ყოველი დილა მათთან შეხვედრით მეწყება, ბავშვები უკვე ისე მომეჩვივნენ, რომ მათ თვალებში ჩემდამი სიყვარულს ვხედავ, განა ამ ემოციის ჩემში გადმოსვლამ შეიძლება დამღალოს?! პირიქით, ბედნიერი ვარ, რომ მათთან ვატარებ ცხოვრების ნახევარს!

- როგორია თქვენი სამუშაო დღე, ამ ბაღში ყველაზე მეტი აღსაზრდელი დადის, ფაქტიურად, დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ რაიონში ბოლო წლებში ბავშვებში მასობრივი ვირუსული ეპიდემია არ დაფიქსირებულა! როგორ ახერხებთ ყველა პატარის მუდმივ შემოწმებას?

- პირველ რიგში, მშობლებთან ერთი სათხოვარი მექნება, როცა აღმზრდელი ეუბნებათ მათ, რომ ბავშვს აქვს ვირუსის ნიშნები და მეორე დღეს არ მოიყვანონ, ამას შეურაცყოფად ნუ მიიღებენ, ეს ჩემი ბრძანებით ხდება ხოლმე და უნდა იცოდნენ, რომ ეს გადაწყვეტილება არა მათ საზიანოდ, არამედ ყველა ბავშვის სასიკეთოდ ხდება. სწორედ ამ პრინციპით ვმუშაობ, თუ რომელიმე ბავშვს ვირუსის ნიშნებს შევატყობ, ვცდილობ, იგი დანარჩენი ბავშვების გარემოს რამდენიმე დრით მოვაცილო, ეს სრული სამედიცინო მიდგომაა და ყველამ კარგად უნდა გამიგოს.

რაც შეეხება ჩემს სამუშაო განრიგს, ყოველ დილით ბავშვების ჯანმრთელობას ვამოწმებ, თუ ვინმეს მდგომარეობა არ მომწონს, დანიშნულებას და რჩევას ვუტოვებ მშობლებს წერილობით, ყოველ სამ თვეში რაიონის ბავშვების ჯანმრთელობას ვამოწმებ, ჩვენს ბაღში მალე ცხრილებს გამოვაკრავ, სადაც ზრდა-განვითარების მაჩვენებლები იქნება ასახული, გარდა ამისა, დილით ვეცნობი მენიუს, ვამოწმებ სამზარეულოს სისუფთავეს, ყურადღებას ვაქცევ, რომ ნორმატივები იყოს დაცული, საუზმის გაცემას ექთანი ადევნებს თვალყურს, სადილს მე. თვალყურს ვადევნებ აგრეთვე თანამშრომლების ჯანმრთელობასაც, ვინაიდან ოჯახის ექიმის სერთიფიკატიც მაქვს. მშობლებს ვაფრთხილებ გეგმიური პროფილაქტიკური აცრების შესახებ.

- ბავშვებში ხშირია გაუთვალისწინებელი შემთხვევები, ხშირად იქცევიან და რაიმეს იტკენენ. თუ ყოფილა რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა?

- რა თქმა უნდა, ყოფილა შემთხვევა, როცა მუცელი ასტკივნია ბავშვს, ან სიცხე მიუცია, ამ დროს ბავშვს მოვუსმენ, დანიშნულებას ვაძლევ და მშობლებს ვატყობინებთ. წაქცეულან კიდეც, ზაფხულის პერიოდში უფრო ხშირად დაზიანებული მუხლების დამუშავება მიხდება, ვინაიდან ბავშვები ეზოში თამაშობენ, მე დღის განმავლობაში ყველა ჯგუფში შევდივარ, ზოგჯერ, თუ ბავშვს ახველებს, აუცილებლად მოვუსმენ ფილტვებზე, ან, თუ აღმზრდელს არ მოსწონს რომელიმე ბავშვი, მეუბნება და გავსინჯავ.

- მშობლები აცხადებენ და თქვენც იცით, ჩემს პრაქტიკაშიც მომხდარა ასე, რომ დილით ბავშვი არ მომწონებია, თუმცა ექიმის იმედად მაინც წამომიყვანია და მითხოვია მასწავლებლისთვის, იქნებ მანანა ექიმმა ჩახედოს ყელში, ან მოუსმინოს ფილტვებზე, ამით თქვენ რამხელა შეღავათს აძლევთ მშობელს, ის თქვენს იმედზეა და მშვიდად მიდის სახლში ან სამსახურში.

- კი, ასეა. როცა მოვდივარ, პედაგოგებისგან მხვდება მშობლების მოთხოვნები, რომ მათ შვილს

რაღაც აწუხებს და სურს გავსინჯო. ეს ჩვეულებრივი პროცესია, აქ მოსარიდებელი არაფერია, პირიქით, ეს ჩემი მოვალეობაა, მე ბავშვს უყურადღებოდ არ დავტოვებ, ზოგს ყელში ჩახედვა სჭირდება, ხშირია შემთხვევა, როცა მშობელი ტოვებს ამბავს, რომ მის შვილს პირში არასასიამოვნო სუნი აქვს, მას აუცილებლად ვუშვებ ანალიზებზე, არის შემთხვევები, როცა მშობელი ბავშვის ხერხემლის გასინჯვას ითხოვს, რადგან მის სისნორეში ეჭვი. ყოფილა ისეთი განსაკუთრებული შემთხვევაც, როცა ბავშვისთვის სიცხე მიუცია, მისი ორივე მშობელი, დედაც და მამაც სამსახურიდან მივლინებაში ყოფილან და რაიონიდან გასულები იყვნენ, თუმცა, მათ მოსვლამდე სიცხიანი ბავშვისთვის მიგვიხედია და მედიკამენტებით, როგორღაც გამოგვიყვანია მდგომარეობიდან... გამორჩეულ შემთხვევებში ასეც ხდება და ამაში არაფერია გასაკვირი, ეს ჩემი ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია, ჩვენ ერთმანეთს უნდა დავუდგეთ გვერდით. მშობელი დროს არ კარგავს, ის მიდის სამსახურში, მისი შვილის მოვლა-პატრონობაზე კი ჩვენ ვზრუნავთ.

- ზამთარი მოგვადგა კარს, როდესაც ვირუსების ბუმი იწყება ხოლმე დედაქალაქში, ხომ არ არის რაიმე საფრთხე ამ მხრივ ჩვენთან?

- ამჯერად სამდღიანი ვირუსებია მაღალი ტემპერატურებით, თუმცა შეშფოთების საფუძველი არ გაქვთ, ჩვენს ბაღში ჯერ-ჯერობით ეს არ დაფიქსირებულა.

- მას შემდეგ, რაც ბაღებში ექიმი გამოჩნდა, სრულიად უკონტროლოდ დარჩენილი სანიტარული ნორმების ფარგლებიც ბევრად უფრო მოწესრიგდა, ცხადია, მშობელიც ცდილობს, რომ მეტი მოსთხოვოს თავის თავს ბავშვის სისუფთავის მხრივ.

- კი, ჩემს მოვალეობაში შედის, რომ შევამოწმო ბავშვის სისუფთავე, სუფთა ჩაცმულობა, სუფთა საცვლები შიგნით, თითების მოწესრიგება და ყურების სისუფთავე, თანაშემწეს კი ხშირად ვახსენებ, რომ ბავშვებს საპნით ხშირად დაბანონ ხელები. ეს ყველაფერი უკვე იმდენადაა მოწესრიგებული, რომ ამაზე საუბარი ხშირად აღარც მიწევს, რადგან არც ბავშვები და არცერთი მხარე არ მაძლევენ შენიშვნის საფუძველს.

ბაგა-ბაღებში ექიმის როლის მნიშვნელობაზე საუბრობენ აღსაზრდელების მშობლები და პედაგოგები.

მაია გაბნიაშვილი, მარინა ჯორკოშვილი, №2 ბაგა-ბაღის პედაგოგები-„ჩვენთვის, პედაგოგებისთვის, მანანას მოსვლა დიდი ტვირთის მოხსნის ტოლფასია, ბავშვები ხშირად ავად გვიხდებოდნენ და ჩვენი სანერვიულო ხდებოდა, თუ რა გვეშველა მათთვის, ახლა ეს პასუხისმგემლობა მოხსნილი გვაქვს და ამ საკითხზე პასუხისმგებლობა პროფესიონალ ადამიანს აქვს გადაბარებული. მის საჭიროებას მშობლები უფრო უკეთ გრძნობენ, ყველას არ აქვს საშუალება, დროულად წაიყვანოს შვილი ექიმთან, ხან დროს ვერ ნახულობენ შესაფერისს, ავადმყოფობა კი არ იცდის და ორგანიზმის იმუნიტეტის დასასუსტებლად მუშაობს. მანანა ექიმი დროული და სწორი დაიგნოზის, სწორი დანიშნულების და მალე გამოჯანმრთელების გარანტია, ის ყველას გვჭირდება დიდებსაც და პატარებსაც, მადლობა მას, რომ ჩვენს გვერდითაა. “

ეთერ ლოგჯანიძე, მზარეული, პედაგოგის დამხმარე, -„მე უექიმობის დროსაც მოვესწარი და ბაღში ექიმის ფასიც შევიგრძენი, ახლა უფრო მეტად ვგრძნობ, თუ რამდენად ვწვალობდით და მშობლებსაც ვაწვალებდით. როცა ბავშვს პირველადი დახმარება სჭირდებოდა, მშობელს ვიბარებდით, რათა მას თავად წაეყვანა ექიმთან, ხშირად მშობლებს არ ეცალათ ან ადგილზე არ იყვნენ და ვერ მოდიოდნენ დროულად. ბავშვზე პასუხისმგებლობა კი ჩვენზე იყო და გვეშინოდა, არაფერი დამართოდა. ბევრი შემთხვევა ყოფილა, როდესაც პატარა აღსაზრდელი პირადად ხელებზე გადამინვენია და საავადმყოფოში მანქანით გაგვიქცევია, ხშირად ტრანსპორტის საშუალებაც არ გვქონია და ერთმანეთს ვაწყდებოდით. ეს ყველაფერი ჩვენს დიდ ენერგიას და ნერვიულობას თხოულობდა, რაც მთლიანად გვიშლიდა დაგეგმილი დღის რეჟიმს. ახლა ეს საკითხები მთლიანად ექიმს და ექთანს აქვთ გადაბარებული, ჩვენ კი მშვიდ გარემოში გვიწევს გავაგრძელოთ დაკისრებული მოვალეობის შესრულება. დაიმედებულნი ვართ, რომ ბავშვების ჯანმრთელებას ექიმი იცავს, ვინ სუსტია და ვიტამინი სჭირდება, ვის ყელის წამალი, ამას ყველაფერს მანანა განსაზღვრავს და დედას რჩევებს მანანა აძლევს. მისი მოსვლის შემდეგ, რომ ვაკვირდებით, პატარები ბევრად გამოკაჟდნენ და გამოჯანმრთელდნენ, რაც ძალიან მახარებს. “

თამთა ბენაშვილი, მშობელი, -„რა თქმა უნდა, როდესაც ბაღში ექიმიც გვეგულება მშობლებს, ბევრად იმედიანად ვართ, რადგან თუ პატარას ჯანმრთელობის რაიმე პრობლემა შეექმნა, უპირველესი, ვინც ამას შეამჩნევს, ექიმი გახლავთ. მე იმედიანად ვარ, რომ ექიმის დამსახურებით ბაღში სანიტარული ნორმებიც გაკონტროლებული იქნება.

ელზა ხარაშვილი, მშობელი - „ჩემი შვილი მეორე ბაგა-ბაღის აღსაზრდელია, სადაც ვიცი, რომ მანანა ექიმი მიდის და ბავშვების ჯანმრთელობას აკონტროლებს, მიმაჩნია, რომ მას შემდეგ, რაც მანანა ბეგლარიშვილი ბაღში შევიდა, ზოგადი მდგომარეობა სამედიცინო კუთხით ბევრად გამოსწორდა, რაც ძალიან მომწონს და მაიმედებს. ასევე გაუმჯობესებულია ბაღის სანიტარული და ჰიგიენური ნორმები, რადგან დიდმაც და პატარამაც იციან, რომ ექიმის თვალს არაფერი გამოეპარება. პირადად მე, მივესალმები ბაგა-ბაღებში მანანა ექიმის გამოჩენას. “

წარმატებებს და წინსვლას ვუსურვებთ ექიმ მანანა ბეგლარიშვილს პატარებთან მუშაობის, თუ სხვა პროფესიული საქმიანობის კუთხით. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მისი ღვაწლი ნამდვილად დასაფასებელია.

ლალი მეხრიშვილი

წმინდა გიორგის პორბალზე წამების დღე

ვულოცავთ ყველას ამ დღესასწაულს და კიდევ ერთხელ შევთხოვთ დიდმოწამეს, არ მიგვატოვოს და ისე, როგორც დიდგორის ბრძოლის დროს, კვლავაც შემუსროს ჩვენი სამშობლოს მტერი. გვსურს, შემოგთავაზოთ წმინდა გიორგის სასწაულების ამსახველი ორი ქართული ამბავი.

არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი) იგონებს: "60-იან წლებში სოფელ ილორში წმინდა დიდმოწამე გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი გახლდით. აქ შევიცანი, უფრო სწორად, შევიგრძენი წმინდა გიორგი, როგორც ჩემი ზეციური მფარველი.

ტაძარში შემორჩა სამი ხატი წმინდა დიდმოწამისა და ძლევაშემოსილის გიორგისა. ორი მათგანის წარწერა მოწმობს, რომ ისინი ლევანს ილორისთვის აფხაზეთის სამთავროში ლაშქრობის შემდეგ შეუწირავს. წმინდა გიორგის მესამე ხატი დაზიანებულია; ამ ხატებს უკავშირდება სასწაული, რომელსაც დღესაც იგონებენ ილორის მკვიდრნი.

ერთხელ ილორის ტაძრის საყარაულოში ბუხართან ვისხედით და შეშის ტკაცუნს ვუსმენდით. სიჩუმე დარაჯმა, ჯუღამ, დაარღვია: "მე მახსოვს სასწაული, რომელიც წმინდა გიორგიმ აღასრულა. მთელი სოფელი იყო მოწმე ამ საკვირველი მოვლენისა. რევოლუციის შემდეგ რამდენჯერმე სცადეს ილორის გაძარცვა. გადავწყვიტეთ, მორიგეობით გვედარაჯა ტაძრისთვის. ყოველღამე რამდენიმე შეიარაღებული ადამიანი რჩებოდა ტაძრის ეზოში. შებინდებისთანავე ეკლესიის რკინის კარები ურდულებით იკეტებოდა და ზედ საგანგებოდ ილორის ტაძრისთვის დამზადებული უზარმაზარი კლიტეები ედებოდა - მასზე სხვა გასაღების მორგება თითქმის შეუძლებელი იყო.

ერთხელ რამდენიმე უცნობი მოვიდა, ორი ციკანი მოიყვანეს - ხვალ გვინდა მსხვერპლად შევწიროთ, ამაღამ კი ტაძრის ეზოში დავრჩებითო. სტუმრებად მივიღეთ, ბუხართანაც გავათბეთ, დასაძინებელი ადგილიც მივუჩინეთ. ავაზაკები გამოდგნენ. ტაძარი რომ დაიკეტა, მოიმარჯვეს იარაღი, დარაჯებს დაწოლა უბრძანეს და ტაძრიდან წმინდა გიორგის ორი ხატი გაიტანეს, მერე ყარაულები ტაძარში ჩაკეტეს და გაიქცნენ.

ამ დროს ერთი ილორელი შეუმჩნევლად სამრეკლოში დამალულიყო და ყაჩაღების წასვლისთანავე ზარების რეკვა ატეხა. მოცვივდა ხალხი, შეიტყვეს მომხდარი, დაიწყეს თათბირი, როგორ გაჰყოლოდნენ ქურდების კვალს. თქვეს:

შარაგზით არ წავლენ, ბილიკს გაჰყვებიან, ალბათ, უფრო ტყეში დაიმალებიან შუაღამემდე, რომ მერე სიბნელეში დაუსხლტნენ მდევარს. რამდენიმე ჯგუფად დავიყოთ და ყველა მხარეს მათ ძებნას შევუდგეთო. გვწამდა, რომ წმინდა გიორგი შეგვეწეოდა. ტყეში შევედით. ნახევარი ვერსის მერე ჩვენკენ მომავალი რამდენიმე ადამიანი შევნიშნეთ - გუშინდელი სტუმრები აღმოჩნდნენ. როცა მოგვიახლოვდნენ, ვუბრძანეთ, ფეხი არ მოეცვალათ. ტევრს შეეფარნენ. მალე მინაზე დადებული წმინდა გიორგის ხატი დავინახეთ, მაგრამ მეორე არ ჩანდა. სროლა ავტეხეთ. ამ ტყეს ავაზაკებზე უკეთ ვიცნობდით და ველარ გაგვექცეოდნენ. ნამდვილი ბრძოლა ატყდა. რამდენიმე ბანდიტი მოვკალით, ერთი შევიპყარით.

შორიახლოს წმინდა გიორგის მეორე, ვერცხლის ხატი ესვენა. ხატზე ვერცხლის ფირფიტის ნაწილი აეცალათ, დარჩენილ ნაწილს კი დარტყმის კვალი ეტყობოდა. დაჭრილმა გვითხრა, რომ ბანდიტებს სიბნელეში გზა აერიათ და მთებში წასვლის ნაცვლად ილორისკენ დაბრუნდნენ. ვკითხეთ, ხატს ასე რატომ მოექცნენ. "იმიტომ, რომ წმინდა გიორგიმ გზა აგვირია. როცა გავრბოდით, ვეხვეწებოდით - წმინდა გიორგი, შეგვეწიეო, მან კი თქვენ გამოგგზავნათ.

ალყაში მოქცეულებს მასზე შურისძიება გვინდოდა და ხატის მტვრევა დავიწყეთ. ვერ შევძელით. როგორც კი სროლა ატყდა, პირველი ტყვიით ის მოკვდა, ვინც პირველმა დაარტყა ხატსო".

კარგად მახსოვს, როგორ მოაბრძანეს ხატები ილორში. ტაძრის გზაზე ხალხი მუხლებზე იდგა და მადლობას შესწირავდა ძლევამოსილ გიორგის, რომელმაც თავისი ხატები ილორის ტაძარს დაუბრუნა. "

* * *

"ეს ამბავი კი დაახლოებით წმინდა თამარის მეფობისას მოხდა. თბილისის ქვემოთ, სომხითში, აჭარიდან სამუშაოდ ერთი კალატოზი ჩამოსულა. სახელად ბასილი რქმევია. ოსტატიც კარგი ყოფილა და ამიტომ ტაძრის აშენება დაუვალებიათ. ამ დროს გამოეცხადა მას წმინდა მთავარმოწამე გიორგი და უთხრა: ნუ ხარ აქ, წადი შინ და მარტომ ამიშენე ტაძარი. თუ ვინმეს დაიხმარ, მთელ სახლეულს აგიოხრებო. განცვიფრებულ ბოლოკ-ბასილს (ასე უწოდებდნენ მას ახლობლები) მიუმართავს: ჰოი, წმიდაო მთავარმოწამევ, რა ვქნა მე უბადრუკმა. მარტოკაცი ტაძარს როგორ ავაშენებო! წმინდა გიორგი განრისხებულა:

ისმინე ჩემი, წადი კლარჯეთის უდაბნოში. იქ სნეული მოხუცი მონაზონია, სახელად სტეფანე და ჩემი სახელით კურნება აღუთქვი. სთხოვე ჯორი და რკინა, გამოკვერე რკინით ქვის სათლელი იარაღი და დაიწყე ეკლესიის შენება. ქვას შენი უღელი ხარით მოიტან, ქვიშას - სტეფანეს ჯორითო. მობრუნდა ბასილი შინ, უამბო ყველაფერი ახლობლებს. მალე ბოლოკ-ბასილმა ოპიზის მონასტერში მამა სტეფანე მოინახულა და გადასცა წმინდა გიორგის დანაბარები. ბერმა ჯორი და რკინა მისცა და, მთავარმოწამის სიტყვისამებრ, მყის განიკურნა. მოიწია შინ ბასილი და შეუდგა მუშაობას. საძირკვლის გათხრა დაიწყო წმინდანის მითითებულ ადგილას.

აქ მიწა ნესტიანი და რბილი იყო, ამიტომ ბასილმა ტაძრის სიმაღლის საძირკველი გათხარა და დაიწყო ამოშენება. სატაძრე ქვასაც წმინდა გიორგის მინიშნებით ტეხდა. წმინდანს გაუფრთხილებია ბასილი: თუ საჭირო ქვას მოტეხ, იმ ადგილზე ერთი ჩიტი დაჯდება ხოლმე, თუ არადა - ამაოდ გიწვალიაო. მართლაც, ის ჩიტი თან დასდევდა ბასილს და ეკლესიის აშენების შემდეგაც მრავალი წელი არ მოსცილებია ტაძარს.

წმინდა გიორგი ცხადად შეეწეოდა ბასილს. უზარმაზარ ლოდებს, რომელთაც მთელი სოფელი ძვრას ვერ უზამდა, ბასილი თავისუფლად იღებდა. ხალხი წმინდანს ვერ ხედავდა. წმინდა გიორგი არც დუღაბის ჩასხმას აკარებდა ვინმეს. ვისაც ბასილის შეწევნის სურვილი გაუჩნდებოდა, ზოგს ძილში ეცხადებოდა, ზოგს ცხადად და მკაცრად აფრთხილებდა. ერთხელ ბასილმა ქვის დაწყობაში შვილი, იოანე, დაიხმარა, მაგრამ ქვა მოწყდა და ბასილს დაეცა. ოსტატი დიდხანს იყო გონდაკარგული. ამის შემდეგ მისთვის ხელის შეშველება ვეღარავინ გაბედა.

იმ დროს იმ მხარეში შიმშილობა მძვინვარებდა, პური ძვირად ფასობდა. წმინდა გიორგი მოუტანდა ხოლმე თავის მონას ხან ყურძენს, ხან ჟოლოს და მოუძლურებულ ბასილს ამ სასწაულით გაამხნევებდა. "ბაჩილო!" - დაუძახებდა ბავშვივით ენამოჩლექით, რადგან ბასილიც მცირედ ენაბრგვილი იყო და რაიმეს აჩუქებდა. ერთხელ, როცა ხორცი შემოაკლდა, ირემიც კი მიუყვანა.

წმინდა გიორგის შეწევნით ასე აშენდა ტაძარი ერთი კაცის ხელით. ამით განსრულდა წმინდა გიორგის ალბათ ერთ-ერთი ყველაზე დიდი და უცნაური სასწაული, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება ეკლესიის ისტორიაში".

მონატრება



მიშიკო ბიკაშვილი

შენი ამ ქვეყნიდან წასვლის მეხუთე წელი 1 ნოემბერს გავიდა. 27 ნოემბერს მეექვსედ შევხვდებით შენს დაბადების დღეს, ჩვენო დიდო ტკივილო, ამ სიტყვებს არ უნდა ვწერდეთ შენზე, შენ ხომ სიცოცხლე გწყუროდა, რომელიც ჩვენთვის ამოუხსნელი მიზეზით დაგატოვებინეს. შენი დაბადების დღე შენთან ერთად უნდა გვეზეიმა, ჯერ ხომ სულ რაღაც 33 წელი გისრულდება. შენი სახელი უკვდავია შენს ოჯახში და არასდროს დაიკარგება. ისევ ჩვენთან ხარ, ისეთივე მხიარული და უდარდელი, როგორიც ჩვენთან ყოფნის დროს იყავ.

შენს დაბადების დღეზე ყოველ წელიწადს მოვდივართ საფლავზე, ვანთებთ უამრავ სანთელს და ყვავილებით გირთავთ სამუდამო სასუფეველს, მაგრამ იმ გაყინული ქვიდან შენი ულამაზესი სახე იმდენ სითბოს აფრქვევს, ვერ ვიჯერებთ, რომ საფლავის ქვიდან გვიღიმი ასე. ამიტომაც სუფრასთან ყოველთვის ჩვენს გვერდით ხარ, შენს სადღეგრძელოს ცოცხლად ვსვამთ, შენი ხუმრობებით ვხუმრობთ და ძალიან მცირე, მაგრამ ლამაზად განვლილ წლებს შენივე მხიარულებით ვიხსენებთ.

ეჰ, ეს ყველაფერი შენი შვილის და ძმის გასამხნევებლად, თორემ ვინ დაიჯერებს, რომ დედისთვის და მამისთვის შვილის ასეთი გარდაცვალება ასე ადვილად გადასატანია, ეს ხომ ბურუსით მოცული შავი ლაქაა ჩვენს ცხოვრებაში.

და ბოლოს, მაინც, ნათელში იყოს შენი სპეტაკი სული, მსუმბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა და იმ ქვეყნიდან ილოცე შენი შვილისთვის და შენგან გულგახეთქილი ოჯახისთის.

მონატრებით,
შენი მშობლები, ძმა და ნათესავები.

რას გვეტყვი, მამაო?

როგორ დავძლიოთ განკითხვის ცოდვა?

თუ ვინმეს განიკითხავთ, ასეთი წესი დაიდგინეთ: ამ დღეს სულ მცირე, სამი მეტანია მაინც შეასრულეთ მისთვის, ვინც განიკითხეთ, შემდეგი ლოცვით: «შეიწყალე უფალო მონა ღვთისა (სახელი) და მისი წმინდა ლოცვით შემიწყალე მეც ცოდვილი».

გწამდეთ, თუ ასე იქმთ, ღმერთი დაგეხმარებათ, რათა სრულიად განეშოროთ ამ ცოდვიან ჩვევას.

გთხოვთ მირჩიოთ რა მოვიმოქმედო. წარსულში ჩადენილი ცოდვა, მიუხედავად იმისა, რომ მოვინანიე, მოსვენებას არ მაძლევს.

წარსულში ჩადენილ ცოდვებზე წუხილი სულაც არ არის ცუდი-ეს შეიძლება კიდეც პრევენციაა, რომ ამ ცოდვის რეციდივი არ მოხდება.

იყიდება!

ორსართულიანი ბინა ორსართულიან მაღაზიასთან ერთად ქ. დედოფლისწყაროში, ბარათაშვილის ქ. №14-ში; ბინა უზრუნველყოფილია ბუნებრივი აირით და წყლით.
ფასი შეთანხმებით. დარეკეთ: 557 333185;

სოფო, ნინო, თამარი და მაიკო სანიკიძეები თანაგრძნობას უცხადებენ ნიკა და მაკა ჭუჭულაშვილებს

თამაზ ჭუჭულაშვილის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე გულო, შვილები: ლელა, ლევან ბექაურები; და მარო; სიძე შალვა იაკობიშვილი, რძალი მაკა ბატიაშვილი; შვილიშვილები:მაგდა, მარიამი, გულო, ვაკო, ნუგზარი, მერიკო, მეგი, დათუნა იუწყებიან

ვალიკო ბექაურის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 25 ნოემბერს 16 საათზე, დაკრძალვა 26 ნოემბერს 13 საათზე.

ვაჟა აზარაშვილი, ტრიო „სემპრე“ და კვარტეტი „იბერი“ ხელოვნების სკოლაში

ვფიქრობ, თითქმის ყველა ქართველს ყური მაინც მოუკრავს, რომ ჩვენ გენიალური ფოლკლორული მუსიკა გვაქვს, მაგრამ ალბათ ძალიან ცოტა ქართველმა იცის, რომ ჩვენ მაღალღირებული და გენიალური მუსიკაც გაგვაჩნია. ჩვენს აკადემიურ მუსიკას შეუძლია თამამად გაუსწოროს თვალი ევროპული ქვეყნების მუსიკას და ფალიაშვილისა არ იყოს, მეც ვიტყოდი: “ჩვენ ხომ ასე ცოტანი ვართ“.

16 ნოემბერს დედოფლისწყაროს ეწვია საქართველოში კარგად ცნობილი კომპოზიტორი ბატონი ვაჟა აზარაშვილი. მისი სიმღერები კი გვიმღერია, მაგრამ რა ცოტა ადამიანი იცნობს ბატონ ვაჟას, როგორც აკადემიური მუსიკის კომპოზიტორს. მე კი ვიტყვი, რომ ბატონი ვაჟას აკადემიური მუსიკა საოცრად ღრმა და მიმზიდველია.

კონცერტი თავად კომპოზიტორს მიჰყავდა და მთელი პროგრამაც მის ნაწარმოებებზე იყო აგებული.

ვაჟა აზარაშვილის კლასიკურ ნაწარმოებებს ასრულებდა ტრიო“სემპრე“ :ვიოლინო-ლელა მჭედლიძე, ჩელო-ჰაიკ ბაბაიანი და ფორტეპიანო-თათა ლიჩელი.

ძნელია საგაზეთო ნომერში ისაუბრო თითოეულ მუსიკალურ ნაწარმოებზე და მის შემსრულებლებზე, ამიტომ ძალიან ზოგადად შევეხები ჩვენს მუსიკოსებს.

ტრიო „სემპრეს“ სამივე მუსიკოსი საოცრად ნიჭიერი და მაღალპროფესიონალია. უპირველესად, მომხიბლა თათა ლიჩელის ღრმა და რბილმა ტუშემ. მე ხომ შესანიშნავად ვიცოდი, რა „ხარისხის“ კლავიატურასთან მოუწია „შეჭიდება“.

ჰაიკ ბაბაიანის კეთილშობილური ინტელექტუალიზმით დაელექტროებული იყო ბატონ ვაჟას ყველა ნაწარმოები.

ამღელვა ლელა მჭედლიძის თავშეკავებულმა ცეცხლოვანებამ, ხან ლირიზმმა და ხან სახუმარო სკერცოზულობამ.

ტრიო „სემპრემ“ დაატყვევა, დიახ, არ ვაჭარბებ დაატყვევა მსმენელი. დარბაზში იყო გარინდებაც, ჩაფიქრებაც, აღფრთოვანებაც, სიხარული და ზეიმი მაღალი ხელოვნებისა.

უკრავდნენ მუსიკოსები და გამოხატავდნენ ხან აღტკინებას, ხან ღრმა სევდას და მოგონებას, ხან სიხარულსა და თავაწყვეტილობას. უკრავდნენ გადათოშილი თითებით, გაყინული სხეულებით, მაგრამ ვიღას ახსოვდა დარბაზში გამეფებული სიცივე.

სამი დღის შემდეგ, 19 ნოემბერს ჩვენს გაყინულ დარბაზს კვარტეტი „იბერი“ ესტუმრა შემდეგი შემადგენლობით-გიორგი ხაინდრავა, თამარ ბულია, ირაკლი ჯაფარიძე და გიორგი ჯორჯაძე. შესრულდა ევროპული და ქართული აკადემიური მუსიკის შედევრები.

ქართულმა საკვარტეტო მუსიკამ თამამდ გაუსწორა თვალი ევროპულ შედევრებს. შესრულდა მოცარტის, შტრაუსის და სულხან ცინცაძის („მინიატურები“)ნაწარმოებები.

მსმენელმა კვარტეტი „იბერის“ შემსრულებლობა აღფრთოვანებით მიიღო.

მადლობა ბატონ ვაჟას ასეთი მუსიკისთვის.

მადლობა ტრიო „სემპრეს“ ასეთი შემსრულებლობისთვის

მადლობა კვარტეტ „იბერი“-ს.

მადლობა კულტურის სამინისტროს, რომლის ინიციატივით და დაფინანსებით მოეწყო ეს კონცერტი.

და ბოლოს.

პროვინცია უდაბნოა

უდაბნოს ყოველთვის სწყურია

უბრალოდ უდაბნომ არ იცის, რომ თურმე მას სწყურია.

მარიამ კიკილაშვილი.
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლის დირექტორი.

უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

მარინა და ტარიელ ღარიბაშვილებს! მაია და თამაზ თამაზაშვილებს!

გილოცავთ თქვენი შვილის- ირაკლის პრემიერ მინისტრად დანიშვნას, ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს. იმედი გვაქვს, ის მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს აღმშენებლობის საქმეში.

პატივისცემით,
ლედი ჯანიაშვილის ოჯახი

მარინა და ტარიელ ღარიბაშვილებს!

გილოცავთ შვილის, ირაკლი ღარიბაშვილის შსს მინისტრობიდან პრემიერ მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნას. ჩვენ, თქვენს გვერდშიმდგომებს, ყოველთვის გვჯეროდა და ახლაც გვჯერა, რომ ირაკლი, სადაც არ უნდა იყოს, თავისი სიკეთით, ადამიანობით და ხალხის წინაშე ვალდებულების გრძნობით მუდამ იქნება ღირსეული ღირსეულთა შორის. საქართველოს თითოეული მოქალაქე სიამაყით შესცქერის თქვენს შვილს, ეთაყვანება მის თითოეულ მანერას, ქცევას. ჩვენც ერთიორად გვეამაყება ირაკლი, რამეთუ, ის ჩვენიანია. ამ გადასახედიდან წარმოგვიდგენია, რაოდენ სასიხარულოა, მშობლისთვის, რომ ასეთი შვილი გამოუზარდა სამშობლოს. ვუერთდებით იმ დიდ სიხარულს, რასაც ამჯერად განიცდით, ირაკლის კი, ვუსურვებთ წარმატებით ემართოს ქვეყნის საჭეთმპყრობელის პოსტი! ღმერთი ჰფარავდეს მას და მის ლამაზ ოჯახს!

პატივისცემით
სოფელ ხორნაბუჯის ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლები.

ნინო პოპიაშვილს!

გილოცავთ 50 წლის იუბილეს, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მხნეობას. იყავ ბედნიერი შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. გფარავდეს წმინდა გიორგის მადლი, შენ ხომ 23 ნოემბერს-ამ ბრწყინვალე დღეს ხარ დაბადებული.

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის
მუზეუმის თანამშრომლები

„დედოფლისწყაროს საათი“

შეეკითხე გამგებელს

კვირა 17:30

მოძებნე „ობიექტივი“

1 დეკემბერს, ილია მარტყოფლიშვილის სტუდიის სტუმარი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი იქნება, რომელიც პირდაპირ ეთერში დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენებზე ისაუბრებს. დედოფლისწყაროელ მაყურებელს შეუძლია დარეკოს და გამგებელს მისთვის სასურველი კითხვა გადაცემის მსვლელობის დროს თავად დაუსვას. ასე რომ, იაქტიურეთ, სტუდიის ტელეფონია (0322) 388 105

ა მ ი ნ დ ი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 25. 11		სამშაბათი 26. 11		ოთხშაბათი 27. 11		ხუთშაბათი 28. 11		პარასკევი 29. 11		შაბათი 30. 11		კვირა 01. 12	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
5 °	4 °	8 °	7 °	10 °	9 °	8 °	5 °	6 °	2 °	3 °	-1 °	2 °	0 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნანრა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქ. ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K